ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7968327

ნომერი: AR11147252

თარიღი : 10.06.2026

გაცემის თარიღი : 18.06.2026

გაცნობის თარიღი : 18.06.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეკინის გამზირი N 34/ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N 2ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემური ქომეთიანი პ/ნ 48001026530
- ჩხოროწყუ ს. მუხური მე-17 ქ. N 77

ორგანიზაცია:

- შპს გაფა ბიზნესი კოდი: 415101909

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ:

1.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოდგენილ იქნას თქვენს საკუთრებაში არსებული სარეკონსტრუქციო ფასადის ახლო ხედის ფოტოსურათები, გადაღების თარიღის ფიქსაციით

2.ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : ფოტომონტაჟზე დაიტანეთ საპროექტო მასალები, ასევე პანდუსის ზუსტი გაბარიტული ზომები.

3. წარმოდგენილ იქნას საკადასტრო გეგმა პანდუსის დატანით, შესაბამისი ზომების მითითებით. გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ სამუშაოები სცდება საკადასტრო საზღვარს საჭიროა დატანილ იქნას ტროტუარის და დაჩენილი სავალი ნაწილის მანძილები.

4. წარმოადგინეთ 2020 წლის 4 დეკემბრის №732დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესაბამისად შესრულებული საპროექტო დოკუმენტაცია განმარტებითი ბარათით და შესაბამისი დეტალური ნახაზებით; ელემენტების სრულყოფილად ჩვენებით. ნახაზზე დეტალურად ინქას მითითებული ზომები და ნიშნულები. აღნიშნული რეგლამენტის მიხედვით მოეწყოს პანადუსი და მისი მოაჯირებიც; დაცული იქნას მისაწვდომობის სტანდარტები (მინიმალური გასავლელის სიგანეები).

5. წარმოდგენილ იქნეს საპროექტო საკადასტრო ერთეულის მიმართ უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (იჯარა, ქირავნობა და ა.შ), საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული. ამასთან, თუ ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია არ ითვალისწინებს მესაკუთრის წინასწარ თანხმობას განცხადებით მოთხოვნილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით, წარმოსადგენია მესაკუთრის შესაბამისი თანხმობა.

6. იმ შემთხვევაში თუ პანდუსის მოწყობა იგეგმება კერძო საკუთრებაში რეგისტრირებული საკადასტრო ერთეულის საზღვრებს მიღმა, წარმოსადგენია სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა.

7. საჭიროა მოთხოვნის ტექსტში განიმარტოს სამუშაოები ეხება თუ არა არსებულ კარის ღიობსაც.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.